ხელშეკრულება №12/11/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

12 ნოემბერი 2018 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ„ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით.
(CPV 79341400)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის (ცესკოს თავმჯდომარის 2017 წლის 29 დეკემბრის #01-152 ბრძანება) თავმჯდომარის მოადგილის გიორგი შარაბიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს "კლიპ-არტი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე ლორთქიფანიძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას მხარეთა მიერ შეთანხმებული რაოდენობებითა და ფორმატით, შემსრულებლის მართლზომიერ სარგებლობაში არსებულ სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე, 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით. დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ასახულია ვებ-გვერდების ჩამონათვალი, შემდგომში ,,მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი ,,მომსახურება" და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. მომსახურების ღირებულება.

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 16299.57 (თექვსმეტიათას ორასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 57 თეთრი) ლარს.
2.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობა, თანხა და ვებ-გვერდები მოცემულია დანართში №1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეთა წარმომადგენლები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს მიწოდებული მომსახურების მიხედვით.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება: დანართით გათვალისწინებულ ვებ-გვერდებზე.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება იქნება ხარისხიანი და დროული.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა

მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
10.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
10.3. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისთვის დაგვიანებით მიწოდებული მომსახურების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
10.4 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მიწოდების ვადა 10 დღით აღემატება 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.5 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10.0 პროცენტის ოდენობით.
10.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20.0 პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სრული მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: ქეთევან დანგაძე

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელისმომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

''შემსყიდველი''	''მიმწოდებელი''
საქართველოს ცენტრალური	შპს "კლიპ-არტი"
საარჩევნო კომისია	
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ	ქ. თბილისი, მ. ალექსიძის #6
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509	ს/კ 402006468
ტელ: (995 32)2 510051	სს „თიბისი ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ №200122900;	ა/ა GE 51 TB 70 17 73 60 20 10 00 08
კოდი: 220101222	
გიორგი შარაბიძე	ეკატერინე ღლონტიფანიძე
თავმჯდომარის მოადგილე	დირექტორი

დანართი #1

ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მოცემული მომსახურება მოიცავს ინფორმაციის განთავსებას შემდეგი საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდებზე:

	ვებ-გვერდი	მომსახურება	მთლიანი საფასური 3 კვირიანი მომსახურების პერიოდში (დღგ-ს ჩათვლით	1 დღის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)
1	www.pia.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	901.74	42.94
2	www.newposts.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	829.50	39.50
3	www.info9.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	685.02	32.62
4	www.for.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	313.32	14.92
5	www.accent.com.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	369.39	17.59
6	www.expressnews.com.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	540.54	25.74
7	www.fax.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	221.34	10.54
8	www.medianews.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	359.94	17.14
9	www.newspress.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	351.12	16.72
10	www.primetime.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	829.50	39.50
11	www.ipress.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	1489.74	70.94
12	www.kvira.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	829.50	39.50
13	www.reportiori.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	348.18	16.58
14	www.qartuliazri.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	275.73	13.13
15	www.presa.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	708.54	33.74
16	www.droni.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	708.54	33.74
17	www.itv.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	752.22	35.82
18	www.tabula.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	752.85	35.85
19	www.gurianews.com	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	453.18	21.58
20	www.newpress.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	545.79	25.99
21	www.speqtri.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	545.79	25.99
22	www.sknews.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	460.11	21.91
23	www.qartli.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	521.01	24.81
24	www.psnews.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	521.01	24.81
25	www.livepress.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	521.01	24.81
26	www.guriismoambe.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	521.01	24.81
27	www.on.ge	ინფორმაციის განთავსება ულიმიტოდ	943.95	44.95
			16299.57	

"შემსყიდველი"
საქართველოს ცენტრალური
საარჩევნო კომისია

გიორგი შარაბიძე
თავმჯდომარის მოადგილე

"მიმწოდებელი"
შპს „კლიპ-არტი"

ეკატერინე ლორთქიფანიძე
დირექტორი